განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, ბაკალავრიატი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
26/04/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

18/05/2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის # 15 გადაწყვეტილება

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო სიხარულიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა დათიაშვილი, კომპანია ,, IDS Borjomi Georgia“, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ხორციელდება სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტის ბაზაზე. პროგრამამ ფუნქციონირებს 2006 წლიდან ,,ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ სახელწოდებით. 2019 წელს საგანმანათლელო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 17 იანვრის #15 გადაწყვეტილებით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის ვადით.

წარმოდგენილი ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის“ პროგრამის მიზანია მოამზადოს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების მქონე, ბიზნესის მენეჯმენტის ფართო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც დარგის თავისებურებების გათვალისწინებით, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით განახორციელებს სამეწარმეო ორგანიზაციების მენეჯმენტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. შესაბამისად, პროგრამა არის 240 კრედიტიიანი, რომელიც გაწერილია 4 წელზე ანუ 8 სემესტრზე. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს:

სავალდებულო სასწავლო კურსებს – 225 კრედიტი, რომლთა დანიშნულებაა სტუდენტს გამოუმუშავოს მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო კომპეტენციები, იგი მოიცავს:

- *სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – 142 კრედიტი;*
- *ზოგადსაუნივერსიტეტო საბაზისო სასწავლო კურსები – 34 კრედიტი;*
- *სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები – 34 კრედიტი;*
- *პრაქტიკა - 5 კრედიტი;*
- *საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი;*

თავისუფალი კომპონენტები – 15 კრედიტი;

პროგრამას გააჩნია მიღების წინაპირობები, რომლებიც იძლევა საშუალებას პროგრამაზე აბიტურიენტმა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით, სადაც ბარდება ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), მათემატიკა ან ისტორია.

პროგრამაში ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსების დონეზე გაწერილია კონკრეტული მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა მეთოდები და შეფასების მეთოდები/ფორმები/აქტივობები. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სამიზნე ნიშნულები და პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბიმოსობის რუკები.

პროგრამის მიხევით საბაკალვრო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის განსაზღვრული დასაქმების შესაძლო სფეროები, კერძოდ სხვადასხვა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის, სამთავრობო და არასამთავრობო უწყებები და ორგანიზაციები, მათ შორის სამრეწველო, სამშენებლო, მარკეტინგულ-სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და ფირმებში, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები.

ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 508 სტუდენტი, რომლებსაც ემსახურება 41 კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, აქედან 37 აფილირებულია უნივერსიტეტთან (15 პროფესორი და 22 ასოცირებული პროფესორი). აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი (87,3%) დასაქმებულია, მათ შორის დაახლოებით 80% პროფილის მიხედვით. უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლას აგრძელებს პროგრამის კურსდამთავრებულთა 5,6%.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 26 აპრილს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის პროცესში ონლაინ მოხერხდა დაწესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურის და ბიბლიოთეკის დათვალიერება, გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2, 2.3 და 2.6 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.4 და 2,5 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტის 5.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდართან, თუმცა 5.1 და 5.2 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შესწავლა იყოს სავალდებულო, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებებს თანაბრად ქონდეთ წვდომა როგორც ინგლისურენოვან თანამედროვე მასალებთან, ისე აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
2. რეკომენდებულია საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტმა ისწავლონ კორპორაციათა ფინანსები ან ფინანსური მენეჯმენტი, რითას სრულად შეძლებენ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,ფირმის მენეჯმენტი 1“ წინაპირობად ნაცვლად ,,მაკროეკონომის საფუძვლები“-ს სასწავლო კურსისა განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები“. სასწავლო კურსის ,,საერთაშორისო მენეჯმენტი“ წინაპირობად ნაცვლად ,,მარკეტინგი“-ს და ,,უცხო ენა 4“ სასწავლო კურსებისა განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები“. ამასთან ბუნდოვანია ,,უცხო ენა 4“-ში რომელი ენა იგულისხმება, ან რამდენად რელევანტურია მაგალითად ინგლისური ენის გარდა სხვა უცხო ენის მოცემულ კონტექსტში გამოყენება. დაკორექტირდეს ასევე ,,მენეჯმენტის ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსზე

დაშვების წინაპირობა, კერძოდ ნაცვლად ,,საერთაშორისო მენეჯმენტისა“ განისაზღვროს მაგალითად ,,მენეჯმენტის საფუძვლები“;

4. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსები ,,ფირმის მენეჯმენტი 2“ და ,,ეკონომეტრიკა“ მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სილაბუსით სწორად განსაზღვრულ წინაპირობასთან;
5. რეკომენდებულია ,,სამეწარმეო პრაქტიკის“ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად განსაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის გავლის დროისთვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, ნაცვლად სილაბუსით განსაზღვრული რამდენიმე სასწავლო კურსისა (ფირმის მენეჯმენტი 2, სოციალური ეკონომიკა, შრომის დაცვის საფუძვლები);
6. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,ფინანსური მენეჯმენტი“-ს შინაარსი და სწავლის შედეგები ნაკლებად შეესაბამება კურსის სახელწოდებას, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული კურსის პროგრამიდან ამოღება ან კორექტირება;
7. სასწავლო კურსების შინაარსიის და გამოყენებული სასწავლო ლიტერატურის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები, კერძოდ: სასწავლო კურსის ,,სამეწარმეო ბიზნესის საფუძვლები“ სახელწოდება დაკორექტირდეს, როგორც ბიზნესის საფუძვლები. სასწავლო კურსის ,,სამეწარმეო ფირმის ეკონომიკა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,ფირმის ეკონომიკა“, ხოლო სასწავლო კურსის ,,სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,მარკეტინგის მენეჯმენტი“;
8. რეკომენდებულია ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს ქართულ ენაზე ხელმისწავდომი ახალი ლიტერატურით, მაგალითად, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ფრედ დევიდის სტრატეგიული მენეჯმენტის 2017 წლის მეთხუთმეტე გამოცემა; სასწავლო კურსში ,,მენეჯმენტის საფუძვლები“ განახლებული იქნეს ლიტერატურა მაგალითად, ქართულ ენაზე არის რობინზი, კოუტლერის მენეჯმენტის 2018 წლის გამოცემა. ,,სამეწარმეო სამართლის საფუძვლებში“ რეკომენდებულია ,,სამეწარმეო სამართლის“ უახლესი 2019 წლის გამოცემის გამოყენება.
9. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსშივე განხორციელდეს გამოყენებული შეფასების სისტემის დეტალური განმარტება, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მეტ გამჭირვალეობას.

10. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში, სრულად აისახოს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგების გამოყენება, კერძოდ დაკონკრეტდეს სად, რა ცვლილებები იქნა პროგრამაში განხორციელებული პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგების შეფასების შედეგად;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამას თან ახლდეს დაწესებულებას მიერ ჩატარებული უცხოური გამოდილების შესწავლის ე.წ. ,,ბენჩმარკინგის“ დეტალური ანგარიში;
2. პროგრამაში უცხო ენების სასწავლო კომპონენტში გამორჩენილია უცხო ენა - 3 ანუ B2.1 დონის სილაბუსები, სამაგიეროდ ორჯერ არის წარმოდგენილი უცხო ენა - 4-ის ანუ B2.2 დონის სილაბუსები, შესაბამისად აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გამოსასწორებელია;
3. სასურველია, პროგრამის ფარგლებში მეტი ყურადღება დაეთმოს და ცალკე კურსად იქნეს გათვალისწინებული ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: რისკების მენეჯმენტი, ლიდერობა და გუნდის მართვა, ციფრული მენეჯმენტი;
4. ვინაიდან პროგრამა ორიენტირებულია სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვაზე სასურველია პროგრამის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებს: ინოვაციების მენეჯმენტი და ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში - შეეცვალოს სტატუსი და გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსები;
5. პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით წარმოდგენილია ფირმის მენეჯმენტი 1 (6 კრედიტი) და ფირმის მენეჯმენტი 2 (6 კრედიტი) სასწავლო კურსები, რომელიც განაწილებულია ორ სემესტრზე, თუმცა მათი შინაარსიის და სპეციფიკის გათვალისწინებით სასურველია მათი შესწავლა მოხდეს ერთ სემესტრში ფირმის მენეჯმენტის 6 კრედიტიანი სასწავლო კურსის ფარგლებში. რაც ასევე დამატებით მისცემს საშუალებას პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში გამოთავისუფლებული იქნეს კრედიტები და გაიზარდოს თუნდაც უცხო ენების შესწავლის კრედიტები, შესაბამისად დონეები;
6. სასურველია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები: ,,გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა“, ,,საქართველო - ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები“ მათი შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე უმჯობესია ჩამოყალიბდეს ერთი სასწავლო კურსის სახით;

7. სასურველია პროგრამაში სამეწარმეო პრაქტიკის კომპონენტის (5 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობების გაზრდა შესაბამისად 10 და 15 კრედიტამდე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის პრაქტიკული და სასწავლო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას;
8. სასურველია დაწესებულებამ სრულად წარმოადგინოს შესამოწმებელ პროგრამასთან დაკავშირებული პოტენციური პრაქტიკის ობიექტების ნუსხა და მათთან გაფორმებული მემორანდუმები.
9. სასურველია დაწესებულებამ კიდევ უფრო გააქტიუროს მოწვეული სტუმრების მიერ ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა.
10. სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი აქცენტები გაკეთდეს ან კიდევ უფრო გააქტიურდეს სწავლა-სწავლების პრაქტიკულ მეთოდებზე.
11. სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები მეტად იყოს დივერსიფიცირებული კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, მაგალითად: სასწავლო კურსში პროექტების მენეჯმენტი დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნეს არა მარტო ღია შეკითხვები, არამედ უშუალოდ კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტი და მისი პრეზენტაცია;
12. სასურველია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იქნეს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის, გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გასაზრდელად ქმედითი სამოქმედო გეგმა.
13. სასურველია ტრენინგების თემატიკის შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება, მიწოდება პერსონალისათვის და მეტი ხელშეწყობა ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამებში ჩართულობის გაზრდის კუთხით;
14. სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ზუმის პლატფორმის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლექციების შეუფერხებლად ჩატარება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ 2019 წელს საგანმანათლელო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 17 იანვრის #15

გადაწყვეტილებით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის ვადით. შესაბამისად, განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის მოდიფიცირება, კერძოდ:

- დაკორექტირდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები და მოხდა ერთმანეთტან შესაბამისობაში მოყვანა;
- გაიზარდა პროგრამაში შესასწავლი უცხო ენების კრედიტების მოცულობა 6 კრედიტიდან 20 კრედიტამდე;
- დაკორექტირდა საბაკალავრო ნაშრომზე და ზოგიერთ სასწავლო კურსე დაშვების წინაპირობები;
- შეიცვალა გარკვეული სასწავლო კურსები სტატუსი, მაგალითად, მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები გახდა სავალდებულო;
- დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება;
- შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი;

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ საანგარიშო პერიოდში პროგრამამ განიცადა გაკრვეული ცვლილებები პროგრესის კუთხით.

- **პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების მქონე, ბიზნესის მენეჯმენტის ფართო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც დარგის თავისებურებების გათვალისწინებით, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით განახორციელებს სამეწარმეო ორგანიზაციების მენეჯმენტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. პროგრამის მიზანში გამოკვეთილია ის კონკრეტული მახასიათებლები, რომელთა შესაბამისადაც პროგრამა მიზნად ისახავს სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ბაკალავრიატის დონის შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას, კერძოდ პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს მონაწილეობა მიიღოს ბიზნესის ადმინისტრირებასა და მეწარმეობასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და განხორციელებაში. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რადგან უნივერსიტეტის მისიაა - ინოვაციებზე დამყარებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების უზრუნველყოფა, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს შორის მაღალი სულიერების, ზნეობრიობის დამკვიდრებით. პროგრამის მიზანი შეესაბამისობაშია ასევე სატრანსპორტო და მაქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისია, მიზნებთან და ამოცანებთან. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისიას წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის აღნიშნულ დარგებთან მიმართებაში უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, მათი საჭირო ხარისხისა და რაოდენობის სპეციალისტებითა და

მეცნიერული კვლევის შედეგებით უზრუნველყოფისათვის. ფაკულტეტის მიზნებია: ევროპული განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისი დონის მქონე სპეციალისტების (უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე დიპლომირებული სპეციალისტები, ბაკალავრები, მაგისტრები, დოქტორანტები) მომზადება და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის შექმნა. ხოლო, ფაკულტეტის ამოცანებია: სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება; პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების – ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება; ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის დარგების სპეციალისტთა პროფესიული სრულყოფა და გადამზადება; უწყვეტი განათლების პრინციპების განხორციელება და ა.შ.

პროგრამის შემუშავებისას დაწესებულების მხრიდან გამოყენებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2017, 2018 და 2019 წლებში ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის კვლევა, სადაც წარმოდგენილ დასკვნებში ნათლად ჩანს ქვეყნის სამეწარმეო სექტორში კვალიფიციური შრომითი რესურსების ნაკლებობა. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებისას დაწესებულების მხრიდან გაკეთებულია ერთგვარი ბენჩმარკინგი და შესწავლილია მალტის, აშშ, ესტონეთის, შვეიცარიის და ა.შ. გამოცდილებები, თუმცა ასევე კარგი იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო აღნიშნული ბენჩმარკინგის დეტალური ანალიზის ანგარიშიც. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მიზნები რეალურია, მიღწევადია და ხელს უწყობს ისეთი სპეცილისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ როგორც სფეროს, ისე საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- შრომის ბაზრის კვლევები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისია, მიზნები, ამოცანები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამას თან ახლდეს დაწესებულებას მიერ ჩატარებული უცხოური გამოდილების შესწავლის ე.წ. ,,ბენჩმარკინგის“ დეტალური ანგარიში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონის აღმწერის შესაბამისად, კერძოდ პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. აღწერს სამეწარმეო ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებს, წარმოების ეფექტურობას, მარკეტინგულ მონაცემებს და ბაზრის შესაძლებლობებს სტანდარტული თეორიული საფუძვლებისა და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; 2. იყენებს ეკონომიკურ, მენეჯერულ, მათემატიკურ მეთოდებს, პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და მასში მონაწილეთა იდენტიფიცირების მიზნით; 3. წარმართავს ძირითად პროფესიულ საქმიანობას ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ სფეროებში (მარკეტინგული მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება - დაგეგმვა,

აღრიცხვა, კონტროლი, რეგულირება).

4. ახორციელებს ძირითად ფინანსურ საქმიანობას ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად (ანგარიშების მომზადება და წარდგენა, ფინანსური დოკუმენტების მონაცემთა ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება).
5. მართავს პროექტებს და მის ცალკეულ ასპექტებს ხელმძღვანელის მითითებებით (მიზნის ფორმულირება, მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა, დროითი ჩარჩოების დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და მართვა, საჭირო რესურსების განსაზღვრა).
6. ახდენს სამეწარმეო ორგანიზაციის ან ფუნქციონალური რგოლის შესახებ მონაცემების შეგროვებას და მის წინაშე მდგარი პრობლემის ანალიზს სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით;
7. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის შედეგად აყალიბებს სამეწარმეო სფეროსთვის დამახასიათებელი სიტუაციის ანალიზის შედეგებს სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს;
8. მონაწილეობს ბიზნესისა და მენეჯმენტის ღირებულებების ფორმირების, საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად, პროფესიული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვ.), ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვით.

პროგრამის სწავლის შედეგებში გამოკვეთილია ის კონკრეტული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნებათ პროგრამის კურსდამთავრებულებს ბიზნესის დაგეგმვის, ორგანიზაციის და მართვის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განსაღვრისას გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომიური ზმნები, რაც კიდევ უფრო გაზომვადს ხდის პროგრამის სწავლის შედეგებს.

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რაც მოიცავს შემდეგ პროცედურებსა და ქმედებებს:

- სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის

შედეგების შესაბამისობის რუქის შედგენა;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის განსაზღვრა.

საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა.

წარმოდგენილ პროგრამაში თავდაპირველად შეცდომით იქნა გამოგზავნილი სხვა საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გეგმა, რომელიც დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად ჩანაცვლებული იქნა აღნიშნული დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის სამიზნე ნიშნულები, წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულ ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამის (დონე 6) დონესთან და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. მიუხედავად, იმისა რომ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის აღწერილობით ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია თუ რა ცვლილებები განიცადა პროგრამამ 2020 წელს, კონკრეტულად არ იკვეთება აღნიშნული ცვლილებებიდან რომელი განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგებიდან გამომდინარე და რა იქნა კონკრეტულად გამოყენებული პროგრამის გასაუმჯობესებლად. ვინაიდან, პროგრამა არ არის ახალი და ის ფაქტობრივად 2006 წლიდან ხორციელდება, ამასთან უნივერსიტეტში 2019 წლიდან ფუნქციონირებს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებული დადგენილება (№01-05-04/261) „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესახებ. ამასთან, აღსანიშნავია რომ პროგრამას თან ახლავს ,,სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“, თუმცა ბუნდოვანია მათი გამოყენების შედეგად პროგრამაში კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა. შესაბამისად, რადგანაც აღნიშნული ქვესტანდარტი მტკიცებულების/ინდიკატორის სახით არ მოთხოვს მსგავსი მტკიცებულების წარმოდგენას, ამიტომ ეს საკითხი დეტალურად არის წარმოდგენილი ქვესტანდარტში 5.3 ,,პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება“, სადაც ზემოთ მოთხოვნილი ინფორმაციის დადასტურება სავალდებულოა ინდიკატორი/ მტკიცებულების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან; ▪ ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით, სადაც ბარდება ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), მათემატიკა ან ისტორია. პროგრამის დაშვების წინაპირობა უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე ასევე შესაძლებელია შიდა მობილობის წესით პროგრამაზე ჩარიცხვა. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდძე სიახლეების ველში, სწავლების დეპარტამენტის და ფაკულტეტის ვებგვერდძე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესების და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
- ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რაც მიმართულია პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევაზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის დონით. საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამა გრძელდება არანაკლებ 4 წელი (8 სემესტრი).

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი

სასწავლო კურსებს. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- **სავალდებულო სასწავლო კურსები – 225 კრედიტი, რომლის** დანიშნულებაა სტუდენტს გამოუმუშავოს მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო კომპეტენციები, იგი მოიცავს:
- *სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – 142 კრედიტი;*
- *ზოგადსაუნივერსიტეტო საბაზისო სასწავლო კურსები – 34 კრედიტი;*
- *სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები – 34 კრედიტი;*
- *პრაქტიკა - 5 კრედიტი;*
- *საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი;*

თავისუფალი კომპონენტები – 15 კრედიტი;

პროგრამის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების წარმოდგენილია 142 კრედიტის სახით, რაც მოიცავს როგორც პრაქტიკის, ისე საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტებს. საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი პრაქტიკის კომპონენტის დანიშნულებაა სტუდენტს მისცეს მომავალი პროფესიული საქმიანობის შესახებ ცოდნა, შეაჯამოს უნივერსიტეტში მიღებული განათლება, გაუძლიეროს პრაქტიკული უნარები, რაც ხელს შეუწყობს ასევე, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას. საბაკლავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა სტუდენტს გამოუმუშავებს უნარებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად დაგეგმოს და გადაწყვიტოს პრაქტიკული ხასიათის ამოცანა და წარმოადგინოს ანგარიშის სახით როგორც წერილობით, ისე პრეზენტაციის ფორმით, ჩაერთოს დისკუსიაში.

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია 34 კრედიტის სახით, საიდანაც 20 კრედიტი უკავია უცხო ენის კომპონენტს, შესაბამისად სტუდენტს აქვს საშუალება თავად აირჩიოს ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა რომელთა შესწავლაც იწყება B1.1 დონიდან და სრულდება B2.2. დონით. მოცემულ ბლოკში 14 კრედიტი აქვს დათმობილი სპეციალობის სასწავლო არჩევით კურსებს. თავისუფალი კომპონენტის ფორმატში პროგრამის სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 15 კრედიტის მოცულობით ნებისმიერი სასწავლო კურსი კურსზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია და მისი

შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები:

პროგრამის სტრუქტურაში უცხო ენების კომპონენტი არის სავალდებულო არჩევითი სახით წარმოდგენილი ანუ პროგრამაზე სტუდენტს შეუძლია ჩააბაროს ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენით და შემდგომ აირჩიოს უცხო ენა 20 კრედიტის ფარგლებში. თუმცა ცხადია, რომ ის სტუდენტი რომელმაც პროგრამაზე ჩააბარა მაგალითად გერმანული ენით და არ იცის ინგლისური ენა ის პროგრამის ფარგლებში ვერ აირჩევს ინგლისურ ენას რადგანაც მისი შესწავლა B1.1 დონიდან იწყება და არა A1.1. დონიდან. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა სასწავლო კურსის დამხმარე ლიტერატურა არის ინგლისურ ენაზე, რაც ასევე ზღუდავს არაინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის მის გამოყენებას. ასევე, ფაქტია ისიც რომ დღეისათვის ბიზნესის საერთაშორისო ენად აღიარებულია ინგლისური ენა და სწორედ ინგლისურ ენაზეა უმეტეს შემთხვევებში ხელმისაწვდომი, როგორც პროფესიული თანამედროვე სასწავლო მასალები ისე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები და ა.შ. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შესწავლა იყოს სავალდებულო, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებებს თანაბრად ქონდეთ წვდომა როგორც ინგლისურენოვან თანამედროვე მასალებთან, ისე აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არსებული ნაკლები აქტივობების ერთერთ ხელისშემშლელ მიზეზად პროგრამის სტუდენტები სწორედ ინგლისური ენის არ ცოდნას უსვამდნენ ხაზს. ასევე:

- პროგრამაში უცხო ენების სასწავლო კომპონენტში გამორჩენილია უცხო ენა - 3 ანუ B2.1 დონის სილაბუსები, სამაგიეროდ ორჯერ არის წარმოდგენილი უცხო ენა - 4-ის ანუ B2.2 დონის სილაბუსები, შესაბამისად აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გამოსასწორებელია;
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურაში ციფრული მარკეტინგის საკითხი მარკეტინგის სასწავლო კურსში წარმოდგენილია ერთი თემის სახით, მიგვაჩნია რომ ვინაიდან ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა თანამედროვე ციფრულ ეპოქაში წარმოუდგენელია ციფრული მარკეტინგის კარგი ცოდნის გარეშე, შესაბამისად რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს ციფრული მარკეტინგის სავალდებულო სასწავლო კურსით;

- პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკი 23 კრედიტით არის წარმოდგენილი ფინანსების ნაწილი და მოიცავს ისეთ სავალდებულო სასწავლო კურსებს, როგორიცაა: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსების საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, კორპორაციათა ფინანსები და ფინანსური მენეჯმენტი. გამომდინარე აქედან ვინაიდან პროგრამა არის საბაკალავრო საფეხურის და მისი მიზანია ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც ,,განახორციელებს სამეწარმეო ორგანიზაციების მენეჯმენტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად", მიგვაჩნია, რომ რეკომენდებული და საკმარისია საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტმა ისწავლონ კორპორაციათა ფინანსები ან ფინანსური მენეჯმენტი, რითას სრულად შეძლებენ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას;
- ვინაიდან პროგრამა ორიენტირებულია სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვაზე სასურველია პროგრამის სპეციალობის არჩევითი სასწავლო სასწავლო კურსებს: ინოვაციების მენეჯმენტი და ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში - შეეცვალოს სტატუსი და გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსები;

ამასთან სასურველია, პროგრამის ფარგლებში ცალკე კურსად იქნეს გათვალისწინებული ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: რისკების მენეჯმენტი, ლიდერობა და გუნდის მართვა, ციფრული მენეჯმენტი.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, პროგრამის ფარგლებში ზოგიერთი სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები. დასაკორექტირებელია ზოგიერთი სასწავლო კურსზე დაშვები წინაპირობები, კერძოდ:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,ფირმის მენეჯმენტი 1" წინაპირობად ნაცვლად ,,მაკროეკონომის საფუძვლები"-ს სასწავლო კურსისა განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები". სასწავლო კურსის ,,საერთაშორისო მენეჯმენტი" წინაპირობად ნაცვლად ,,მარკეტინგი"-ს და ,,უცხო ენა 4" სასწავლო კურსებისა განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები". ამასთან ბუნდოვანია ,,უცხო ენა 4"-ში რომელი ენა იგულისხმება, ან რამდენად რელევანტურია მაგალითად ინგლისური ენის გარდა სხვა უცხო ენის მოცემულ კონტექსტში გამოყენება. უნდა დაკორექტირდეს ასევე ,,მენეჯმენტის ფსიქოლოგიის" სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ ნაცვლად ,,საერთაშორისო მენეჯმენტისა" განისაზღვროს მაგალითად ,,მენეჯმენტის საფუძვლები";

- რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსები ,,ფირმის მენეჯმენტი 2“ და ,,ეკონომეტრიკა“ მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სილაბუსით სწორად განსაზღვრულ წინაპირობასთან; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის სილაბუსი გამორჩენილი იყო პროგრამის გადმოგზავნილ პაკეტში და დამატებით იქნა მოწოდებული ვიზიტის მიმდინარეობისას;
- რეკომენდებულია ,,სამეწარმეო პრაქტიკის“ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად განსაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის გავლის დროისთვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, ნაცვლად რამდენიმე სასწავლო კურსისა: ფირმის მენეჯმენტი 2, სოციალური ეკონომიკა, შრომის დაცვის საფუძვლები;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
- ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის შესწავლა იყოს სავალდებულო, რაც პროგრამის სტუდენტებს მისცემს საშუალებებს თანაბრად ქონდეთ წვდომა როგორც ინგლისურენოვან თანამედროვე მასალებთან, ისე აქტიურად ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
- რეკომენდებულია საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტმა ისწავლონ კორპორაციათა ფინანსები ან ფინანსური მენეჯმენტი, რითას სრულად შეძლებენ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,ფირმის მენეჯმენტი 1“ წინაპირობად ნაცვლად ,,მაკროეკონომის საფუძვლები“-ს სასწავლო კურსისა განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები“. სასწავლო კურსის ,,საერთაშორისო მენეჯმენტი“ წინაპირობად ნაცვლად ,,მარკეტინგი“-ს და ,,უცხო ენა 4“ სასწავლო

კურსებისა განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტის საფუძვლები“. ამასთან ბუნდოვანია ,,უცხო ენა 4“-ში რომელი ენა იგულისხმება, ან რამდენად რელევანტურია მაგალითად ინგლისური ენის გარდა სხვა უცხო ენის მოცემულ კონტექსტში გამოყენება. დაკორექტირდეს ასევე ,,მენეჯმენტის ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ ნაცვლად ,,საერთაშორისო მენეჯმენტისა“ განისაზღვროს მაგალითად ,,მენეჯმენტის საფუძვლები“; ▪ რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსები ,,ფირმის მენეჯმენტი 2“ და ,,ეკონომეტრიკა“ მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სილაბუსით სწორად განსაზღვრულ წინაპირობასთან; ▪ რეკომენდებულია ,,სამეწარმეო პრაქტიკის“ კომპონენტზე დაშვების წინაპირობად განსაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის გავლის დროისთვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, ნაცვლად სილაბუსით განსაზღვრული რამდენიმე სასწავლო კურსისა (ფირმის მენეჯმენტი 2, სოციალური ეკონომიკა, შრომის დაცვის საფუძვლები).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ პროგრამაში უცხო ენების სასწავლო კომპონენტში გამორჩენილია უცხო ენა - 3 ანუ B2.1 დონის სილაბუსები, სამაგიეროდ ორჯერ არის წარმოდგენილი უცხო ენა - 4-ის ანუ B2.2 დონის სილაბუსები, შესაბამისად აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გამოსასწორებელია; ▪ სასურველია, პროგრამის ფარგლებში მეტი ყურადღება დაეთმოს და ცალკე კურსად იქნეს გათვალისწინებული ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: რისკების მენეჯმენტი, ლიდერობა და გუნდის მართვა, ციფრული მენეჯმენტი; ▪ ვინაიდან პროგრამა ორიენტირებულია სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვაზე სასურველია პროგრამის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებს: ინოვაციების მენეჯმენტი და ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში - შეეცვალოს სტატუსი და გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსები;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და თავისუფალი კომპონენტი მოცემულია სასწავლო კურსების სახით, რომლებიც თავის მხრივ წარმოდგენილია სილაბუსების ფორმით. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია, კურსის მოცულობა კრედიტებში, კურსის მიზანი, შინაარსი და მოსალოდნელი სწავლის შედეგები. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკა, სადაც გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების სქემის მიხედვით ნათლად არის ჩამოყალიბებული თითოეული სასწავლო კურსის კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ამასთან, პროგრამის ძირითადი სფეროს ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები, კერძოდ:

- პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით წარმოდგენილია ფირმის მენეჯმენტი 1 (6 კრედიტი) და ფირმის მენეჯმენტი 2 (6 კრედიტი) სასწავლო კურსები, რომელიც განაწილებულია ორ სემესტრზე, თუმცა მათი შინაარსიის და სპეციფიკის გათვალისწინებით სასურველია მათი შესწავლა მოხდეს ერთ სემესტრში ფირმის მენეჯმენტის 6 კრედიტიანი სასწავლო კურსის ფარგლებში. რაც ასევე დამატებით მისცემს საშუალებას პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში გამოთავისუფლებული იქნეს კრედიტები და გაიზარდოს თუნდაც უცხო ენების შესწავლის კრედიტები, შესაბამისად დონეები.
- სასურველია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები: ,,გლობალიზაცია და

ეროვნული ეკონომიკა“, ,,საქართველო - ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები“ მათი შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე უმჯობესია ჩამოყალიბდეს ერთი სასწავლო კურსის სახით;

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,ფინანსური მენეჯმენტი“-ს შინაარსი და სწავლის შედეგები ნაკლებად შეესაბამება კურსის სახელწოდებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვიზიტის ბოლოს დაწესებულების მხრიდან მოწოდებული იქნა კორექტირებული სილაბუსი, თუმც აღნიშნული ფაქტი ვერ ცვლის გაცემული რეკომენდაციის შინაარსს;
- სასურველია პროგრამაში სამეწარმეო პრაქტიკის კომპონენტის (5 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობების გაზრდა შესაბამისად 10 და 15 კრედიტამდე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის პრაქტიკული და სასწავლო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას;

გარდა ამისა ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსიის და გამოყენებული სასწავლო ლიტერატურის გათვალისწინებით უმჯობესია დაკორექტირდეს მათი სახელწოდებები, კერძოდ: სასწავლო კურსის ,,სამეწარმეო ბიზნესის საფუძვლები“ სახელოწოდება დაკორექტირდეს, როგორც ბიზნესის საფუძვლები. სასწავლო კურსის ,,სამეწარმეო ფირმის ეკონომიკა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,ფირმის ეკონომიკა“, ხოლო სასწავლო კურსის ,,სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი“ სახელწოდება, კურსის შინაარსიდან გამომდინარე დაკორექტირდეს როგორც ,,მარკეტინგის მენეჯმენტი“;

ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მაქსიმალურად არის გამოყენებული პროგრამის სასწავლო ენაზე ანუ ქართულ ენაზე არსებული პროფილური სასწავლო ლიტერატურა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რეკომენდებულია მათი განახლება, კერძოდ:

- რეკომენდებულია ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს ფრედ დევიდის სტრატეგიული მენეჯმენტის 2017 წლის მეთხუთმეტე გამოცემის სახელმძღვანელოთი, რომელიც ხელმისწავდომია ქართულ ენაზე. სასწავლო კურსში ,,მენეჯმენტის საფუძვლები“ განახლებული იქნეს ლიტერატურა მაგალითად, ქართულ ენაზე არის რობინზი, კოუტლერის მენეჯმენტის 2018 წლის გამოცემა. ,,სამეწარმეო სამართლის საფუძვლებში“ რეკომენდებულია ,,სამეწარმეო სამართლის“ უახლესი 2019 წლის გამოცემის გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
- ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/;

რეკომენდაციები:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,ფინანსური მენეჯმენტი"-ს შინაარსი და სწავლის შედეგები ნაკლებად შეესაბამება კურსის სახელწოდებას, შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული კურსის პროგრამიდან ამოღება ან კორექტირება;
- სასწავლო კურსების შინაარსიის და გამოყენებული სასწავლო ლიტერატურის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები, კერძოდ: სასწავლო კურსის ,,სამეწარმეო ბიზნესის საფუძვლები" სახელწოდება დაკორექტირდეს, როგორც ბიზნესის საფუძვლები. სასწავლო კურსის ,,სამეწარმეო ფირმის ეკონომიკა" სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,ფირმის ეკონომიკა", ხოლო სასწავლო კურსის ,,სამრეწველო და სატრანსპორტო ფირმის მარკეტინგი" სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც ,,მარკეტინგის მენეჯმენტი";
- რეკომენდებულია ,,სტრატეგიული მენეჯმენტის" სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს ქართულ ენაზე ხელმისწავდომი ახალი ლიტერატურით, მაგალითად, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ფრედ დევიდის სტრატეგიული მენეჯმენტის 2017 წლის მეთხუთმეტე გამოცემა; სასწავლო კურსში ,,მენეჯმენტის საფუძვლები" განახლებული იქნეს ლიტერატურა მაგალითად, ქართულ ენაზე არის რობინზი, კოუტლერის მენეჯმენტის 2018 წლის გამოცემა. ,,სამეწარმეო სამართლის საფუძვლებში" რეკომენდებულია ,,სამეწარმეო სამართლის" უახლესი 2019 წლის გამოცემის გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით წარმოდგენილია ფირმის მენეჯმენტი 1 (6 კრედიტი) და ფირმის მენეჯმენტი 2 (6 კრედიტი) სასწავლო კურსები, რომელიც განაწილებულია ორ სემესტრზე, თუმცა მათი შინაარსიის და სპეციფიკის გათვალისწინებით სასურველია მათი შესწავლა მოხდეს ერთ სემესტრში ფირმის მენეჯმენტის 6 კრედიტიანი სასწავლო კურსის ფარგლებში. რაც ასევე დამატებით მისცემს საშუალებას პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში

გამოთავისუფლებული იქნეს კრედიტები და გაიზარდოს თუნდაც უცხო ენების შესწავლის კრედიტები, შესაბამისად დონეები; ▪ სასურველია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები: ,,გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა“, ,,საქართველო - ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები“ მათი შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე უმჯობესია ჩამოყალიბდეს ერთი სასწავლო კურსის სახით; ▪ სასურველია პროგრამაში სამეწარმეო პრაქტიკის კომპონენტის (5 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობების გაზრდა შესაბამისად 10 და 15 კრედიტამდე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის პრაქტიკული და სასწავლო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკულ და სასწავლო-კვლევით მუშაობას, რადგანაც პროგრამაში განსაზღვრულია პრაქტიკის კომპონენტის და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. პრაქტიკის კომპონენტის სრულფასოვნად განხორციელებისათვის უსდ-ს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულებები სხვადასხვა პოტენციურ დასაქმებლეთან, თუმცა მოცემულ ეტაპზე პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ სამ პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება. აქვე უნდა აღინიშნოს, ის გარემოებაც რომ ინტერვიუებისას პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას

გაცილებით მეტ პოტენციურ დამსაქმებელთან აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო ეს ხელშეკრულებები ექსპერეტებისათვის გამოგზავნილ დოკუმენტაციაში ვერ მოხვდა. შესაბამისად, სასურველია დაწესებულებამ სრულად წარმოადგინოს შესამოწმებელ პროგრამასთან დაკავშირებული პოტენციური პრაქტიკის ობიექტების ნუსხა და მათთან გაფორმებული მემონანდუმები.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ფაკულტეტებზე მუშაობს სექციები, სადაც მონაწილეობენ ყველა საფეხურის სტუდენტები. სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე პერიოდულად გამოდის რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, სადაც პროფესორებთან ერთად ქვეყნდება სტუდენტების სამეცნიერო სტატიები და ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგები. პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკულ და კვლევით მუშაობაში ჩართვას. სილაბუსების თემატიკა, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სამუშაო სტუდენტებს უვითარებს პრაქტიკულ უნარებს. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეთა რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ პროგრამის სტუდენტების ჩართულობით: 2015 – 17 სტუდენტი; 2016 – 32 სტუდენტი; 2017 – 25 სტუდენტი; 2018 – 27 სტუდენტი; 2019 - 31 სტუდენტი. სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე პერიოდულობით ტარდება ვორქშოფები, სემინარები, საჯარო ლექციები, სადაც ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას იღებენ უცხოელი მეცნიერებიც. აღნიშნული ლექციები ღიაა და ნებისმიერ სტუდენტს და პროფესორს აქვს დასწრების შესაძლებლობა აღნიშნული აქტივობების დადასტურება მოხდა ცალკეული ინტერვიუების დროს. თუმცა, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული აქტივობებისა ზოგიერთმა სტუდენტმა გამოხატა სურვილის პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერების თვალსაზრისით, რაც ასახულია პროგრამის სასწავლო კომპონენტების შეფასების 2.2 ქვესტანდარტში რჩევის სახით. ამასთან, სასურველია დაწესებულებამ კიდევ უფრო გააქტიუროს მოწვეული სტუმრების მიერ ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და

მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/; ▪ ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Stmm/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულებამ სრულად წარმოადგინოს შესამოწმებელ პროგრამასთან დაკავშირებული პოტენციური პრაქტიკის ობიექტების ნუსხა და მათთან გაფორმებული მემორანდუმები. ▪ სასურველია დაწესებულებამ კიდევ უფრო გააქტიუროს მოწვეული სტუმრების მიერ ვორქშოფების, სემინარების, საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. კერძოდ, სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები და აქტივობები: ლექცია, სემინარი, დისკუსია/დებატები; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; დემონსტრირება; ახსნა-განმარტებითი, პრეზენტაცია და ა.შ. სწავლა-სწავლების

თითოეული მეთოდი გაწერილია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში და უზრუნველყოფს დასახული კურსის მიზნების მიღწევას. ამასთან, სტუდეტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა სურვილი სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილში პრაქტიკული კომპონენეტის აქტიური გამოყენების შესახებ, შესაბამისად სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი აქცენტები გაკეთდეს ან კიდევ უფრო გააქტიურდეს სწავლა-სწავლების პრაქტიკულ მეთოდებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენეტბთან და კურსდამთავერბულებთან; ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი აქცენტები გაკეთდეს ან კიდევ უფრო გააქტიურდეს სწავლა-სწავლების პრაქტიკულ მეთოდებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა საბაკალავრო პროგრამის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ფარგლებში გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც წარმოდგენილია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. სტუდენტებს საშუალება აქვთ ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მიიღონ, როგორც პროგრამიდან და სილაბუსებიდან ასევე, კონკრეტული საგნის პროფესორის ან პროგრამის ხელმძღვანელისაგან.

ამასთან, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების უმრავლესობაში გამოყენებულია ტესტური შეფასების მეთოდები დახურული კითხვარის გამოყენებით. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ წინასწარ იქმნება კითხვების ბანკი და უზრუნველყოფილია თითოეული სტუდენტისთვის განსხვავებული ტესტის მიწოდება, თუმცა უმჯობესი იქნება გამოყენებული შეფასების მეთოდები მეტად იყოს დივერსიფიცირებული კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, მაგალითად: სასწავლო კურსში პროექტების მენეჯმენტი დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნეს არა მარტო ღია შეკითხვები, არამედ უშუალოდ კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტი და მისი პრეზენტაცია.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმით, სადაც შუალედურ შეფასება ხდება 30 ქულით, ხოლო დასკვნითი შეფასება 70 ქულით. თუმცა შეფასების კრიტერიუმები შუალედური შეფასების დროს გაწერილია 6 ქულაზე, ხოლო დასკვნითი შეფასებისას 14 ქულა. ინტერვიუებისას გაირკვა, რომ დაწესებულება მოცემულ შემთხვევაში იყენებს რანჟირებულ ქულას, თუმცა ბუნდოვანია რას ეფუძნება შეფასებისას რანჟირებული ქულის გამოყენება. გამომდინარე აქედან, რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსშივე განხორციელდეს გამოყენებული შეფასების სისტემის დეტალური განმარტება, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მეტ

გამჭირვალეობას. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია ქულის გასაჩივრების წესი. ინფორმაცია ამის შესახებ საჯაროდაა გამოქვეყნებული ვებ-გვერდზე, თუმცა ინტერვიუებში სტუდენტებმა აღნიშნეს რომ ამ სერვისით არ უსარგებლიათ. მიღებული ქულების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ ელექტრონული პორტალის მეშვეობით. მათთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ ყოველთვის იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვას ყოველი სემესტრის შემდგომ, თუმცა, აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ხშირად არ ერთვებიან ამ ტიპის გამოკითხვებში. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა ინტერვიუში განმარტა, რომ უნივერსიტეტმა უკვე შეიძინა ელექტრონული პროგრამა, რომელიც დაეხმარება მათ სტუდენტებისგან მაქსიმალური ინფორმაციის მიღებაში სასწავლო კურსების შეფასებასთან დაკავშირებით. გარდა სტუდენტების შეფასებებისა, პროგრამის ადმინისტრაცია ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსშივე განხორციელდეს გამოყენებული შეფასების სისტემის დეტალური განმარტება, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მეტ გამჭირვალეობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები მეტად იყოს დივერსიფიცირებული კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, მაგალითად: სასწავლო კურსში

პროექტების მენეჯმენტი დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნეს არა მარტო ღია შეკითხვები, არამედ უშუალოდ კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტი და მისი პრეზენტაცია;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ შეფასებისას აღმოჩნდა, რომ სტუდენტები შეუფერხებლად იღებენ სასწავლო პროცესის შესახებ კონსულტაციას აკადემიური და ადმინიტრაციული თანამშრომლებისგან. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების სერვისები რომლის საშუალებითაც ვებ-გვერდისა და მეილების საშუალებით ინფორმაცია მიეწოდებათ დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ამ ფაქტს სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ ინტერვიუებშიც თუმცა აღნიშნული სერვისებით არ უსარგებლიათ. პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტს საჭირო ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციისაგან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. მიუხედავად უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული ინფორმაციისა, სტუდენტები არ სარგებლობენ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით. ამის მიზეზად სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუებში უმეტესწილად უცხო ენის არასაკმარისი ცოდნა და ნაკლები მოტივაცია დაასახელეს. უნივერსიტეტში ტრადიციულად ყოველწლიურად იმართება სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას აღნიშნული პროგრამის სტუდენტებიც იღებენ, თუმცა პანდემიის გამო 2020 წელს ასეთი ღონისძიება აღარ ჩატარებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იქნეს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის, გაცვლით პროგრამებში ჩართულობის გასაზრდელად ქმედითი სამოქმედო გეგმა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტი არ შეფასებულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“, განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით და მათთან გასაუბრებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობა, კომპეტენტურობა და უნარი - გაუძღვეს სასწავლო პროცესს, ფასდება სასწავლო პროცესის მონიტორინგით და სტუდენტთა გამოკითხვებით. ყოველი წლის ბოლოს ახლდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და პროფესიული განვითარების, ახალი სამეცნიერო შრომების შესახებ ინფორმაცია. ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 41 პერსონალი, მათ შორის 37 აფილირებული აკადემიური (მათ შორის 15 პროფესორი, 22 ასოცირებული პროფესორი) და 4 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა რეგულირდება „სტუ-ის აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციაში“.

პროგრამის მდგრადობა, დასტურდება ერთ სტუდენტზე აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაცუილი პერსონალის სათანადო თანაფარდობით. პროგრამის ფარგლებში აქტიურ სტუდენტთა რაოდენობაა 481 -ია. თანაფარდობა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის არის საშუალოდ 12 სტუდენტზე ერთი აკადემიური პერსონალი. მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ჯეროვნად წარმართვასა და შესრულებას (37/4). პროგრამას ყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია დიდი გამოცდილება სამივე საფეხურის აკადემიური პროგრამების შემუშავებისა და ხელმძღვანელობის კუთხით. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება, პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პერსონალის აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილია დანართის სახით. პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ასევე, კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ინტერვიუებისას გამოიკვეთა ფაკულტეტის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობა და მხარდაჭერა პროგრამის განხორციელების პროცესში. ამასთან, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ როგორც აქტიურ სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა აბსოლუტური კმაყოფილება, როგორც მთლიანი სასწავლო კურსის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავერბულებთან; ▪ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები გამომდინარეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის განსაზღვრული წესებიდან, რომელიც მოიცავს სამართლიანი და ეფექტიანი დასაქმების პოლიტიკის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას, თანამშრომელთა შეფასებას და მათ პროფესიული განვითარებისა და გადამზადების პროცესებს. პერსონალთან გასაუბრებისას, გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს მათ განვითარებაზე და ყველა პირობას ქმნის, მათი მუდმივი ზრდისა და განვითარებისთვის. პერსონალის გარკვეული ნაწილი, უნივერსიტეტში, განიცდის პროფესიულ ზრდასა და განვითარებას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ეხმარება პერსონალს, კვალიფიკაციის ამაღლებაში. სტუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეკრება და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არის დეპარტამენტის ხელმძღვანელები, რომლებიც უზრუნველყოფენ წლიური სამეცნიერო ანგარიშის წარდგენისათვის დეპარტამენტის ყველა თანამშრომლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დოკუმენტის მომზადებას. პროგრამის თითშეფასების ანგარიშზე თანადართული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, პერიოდულად გადიან სხვადასხვა ტრენინგებს, რა დასტურდება თანდართული სერტიფიკატებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერმანენტულად აქვეყნებს სამეცნიერო პუბლიკაციებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, ამზადებენ სასწავლო-მეთოდურ მასალებს, სალეციო კურსებს, რომელთა გამოქვეყნებაში გააჩნიათ უნივერსიტეტის მხარდაჭერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ტრენინგებსა და სემინარებზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ▪ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ტრენინგების თემატიკის შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება, მიწოდება პერსონალისათვის და მეტი ხელშეწყობა ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამებში ჩართულობის გაზრდის კუთხით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური

აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელსაც გააჩნია გამოყოფილი ფართი უნივერსიტეტის 1 კორპუსში. ფართი მოიცავს აუდიტორიებს, ლაბორატირიებს, სააქტო დარბაზებს და ბიბლიოთეკას. უნივერსტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება მოხდა დისტანციურად ლაივ რეჟიმში, კერძოდ დათვალიერებული იქნა კომპიუტერული კლასები, სასწავლო აუდიოტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციული პერსონალის სამუსაო სივრცეები. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური რესურსით. აუდიტორიები აღჭურვილია, სწავლისათვის აუცილებელი პირობებით, პროექტორებით, კომპიტერული ტექნიკით, ინტერნეტის უწყვეტი ქსელით. პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც საფაკუტეტო, ისე საუნივერსუტეტო ბიბლიოთეკით. უნივერსიტეტს გააჩნია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა, სადაც სტუდენტს აქვს საშუალება როგორც ადგილზე, ასევე ელექტრონული სახით მიიღოს, საჭირო სასწავლო მასალა და დამხმარე ლიტერატურა. შეხვედრიასას მოხდა საბიბლიოთეკო სისტემის და ადგილზე არსებული ბეჭდური მასალის მოთხოვნა და გადამოწმება.

გარდა ამისა, ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ლექტორებს პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ლექციების ჩატარება უწევთ ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით, რომელიც ყოველ 40 წუთში ითხოვს ლექციის ხელახალ წამოწყებას, რაგ გარკვეულ დისკომფორტს უქმნის მათ. გამომდინარე აქედან სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ზუმის პლატფორმის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლექციების შეუფერხებლად ჩატარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინფრასტრუქტურის ონლაინ რეჟიმში დათვალიერება;
- სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა https://gtu.ge/Library/;
- საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" http://opac.gtu.ge/ ;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ზუმის პლატფორმის სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ლექციების შეუფერხებლად ჩატარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს, თან ახლავს როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტისა და შესამოწმებლად წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტის ანალიზიდან ნათელია, რომ პროგრამის სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის, მოცემული შემოსავლები, სავსებით საკმარისია, კერძოდ პროგრამის საშემოსავლო ნაწილი წარმოდგენილია 1082250 ლარით, ხარჯვითი ნაწილი 1035471 ლარით, შესაბამისად პროგრამის განვითარებისთვის 46779 ლარის მობილიზება ხდება ყოველ წლიურად. ბიუჯეტის დიდი ნაწილი, მიმართულია სახელფასო ფონდზე, ასევე ადმინისტრაციულ ხარჯებზე. ბიუჯეტი ასევე მოიცავს ინფორმაციას სამეცნიერი-კვლევით გრანტების დაფინანსებაზე. პროგრამა ფინანსურად მდგრადია და ნამდვილად აქვს პოტენციალი, მოერგოს პროგრამის სტრატეგიულ მიზნებს და მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

▪ სტუ-ს ბიუჯეტი https://gtu.ge/AboutStu/stu-budget.php ▪ სტუ-ს სატრანსპორტო და მანქნანთმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი https://gtu.ge/Stmm/; ▪ პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც თავისი ფუნქციებით უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევას. ის რეგულარულად ახორციელებს საბაკალავრო პროგრამის პროგრამის სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა ხარისხის შეფასებას, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში. განხორციელებული შეხვედრების დროს გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში, შეფასებების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის მაღალი ჩართულობა პროგრამის სრულყოფაში. ინტერვიუების დროს გამოვლინდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერმანენტული კონსულტაციები კურსდამთავრებულებთან და დარგის სპეციალისტებთან. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერის სამსახური, რომელიც ასევე ჩართულია საბაკალავრო პროგრამაში სრულყოფაში.

საბაკალავრო პროგრამის და/ან ცვლილებების შეფასება ხორციელდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მაჩვენებლებით. უნივერსიტეტში დანერგილია თვითშეფასების მექანიზმი, რომლის მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრა და განვითარება. გამოკითხვის შედეგების და ჩატარებული შემოწმება-შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გამოაქვს დასკვნა აღმოჩენილი ხარვეზების ან სასწავლო პროცესის სუსტი მხარეების შესახებ და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერტსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტევიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის17 აპრილის No 01-05-04/108 დადგენილებიით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მექანიზმებს. წინა პერიოდში განხორციელებულმა შემოწმებამ აკრედიტაციის მისანიჭებლად, საჭირო გახადა რეკომენდაციების გათვალისწინება. სტუ-ს პერსონალმა მოცემული რეკომენდაციები მეტწილად გაითვალისწინა, მოახდინა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ამით მოახდინა პროგრამის გაუმჯობესება.

შეხვედრების დროს პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრების მიერ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის გარე შეფასებას მუდმივად ახორციელებს განათლების განვითარების ეროვნული ცენტრი.

პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად ახორციელებენ კონსულტაციებს და შეხვედრებს დარგში მომუშავე სპეციალისტებთან პროგრამის სრულყოფის მიზნით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აღნიშნული პროგრამის კომპლექსური, დეტალური გარე შეფასება სრულყოფდა პროგრამას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერტსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტევიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის17 აპრილის No 01-05-04/108 დადგენილებიით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის No15 გადაწყვეტილება; ▪ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის No76 გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების თობაზე;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. თუმცა, ბუნდოვანია კონკრეტულად როგორ იქნა მსგავსი შეფასების შედეგები გამოყენებული პროგრამის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ პროგრამას თან ახლავს ,,პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში", თუმცა ანგარიშში შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად წარმოდგენილია მხოლოდ პროცედურების აღწერის სახით.

პროგრამის ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მათი კომპეტენციების და პედაგოგიური მიდგომების ანალიზი და შეფასება. სწავლების დახვეწის და სრულყოფის მიზნით ხორციელდება სალექციო და სასემინარო საათებზე მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლების დასწრება. უნივერსიტეტში მუდმივად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავების და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები და ანკეტები აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გამოსაკითხად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერტსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტევიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში, სრულად აისახოს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგების გამოყენება, კერძოდ დაკონკრეტდეს სად, რა ცვლილებები იქნა პროგრამაში განხორციელებული პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგების შეფასების შედეგად;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ნინო ზარნაძე

ნინო სიხარულიძე

თეონა დათიაშვილი